ახალგაზრდა ეროელი

[Ჩ] გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

შაბათი 22 დეკემბერი № 144 (11630) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

20 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა.

სესიამ იმსჯელა კანონზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ და მიიღო იგი პირველი წაკითხვით, დაამტკიცა უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულება, უზენაესი საბჭოს სხდომების დროებით რეგლამენტში შეიტანა ცვლილება, ასევე შეიტანა ცვლილება და დამატება რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში, უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისია გარდაქმნა უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის მუდმივ კომისიად, იმსჯელა უზენაესი საბჭოს სამდივნოს აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ, განიხილა სხვა საკითხებიც.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ

„ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 15 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას შინაგანი ჯარები — ეროვნული გვარდია.

2. შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის საერთო ხელმძღვანელობისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჩამოყალიბდეს მთავარი სამმართველო, რომლის უფროსი იმავდროულად იქნება შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

შინაგან ჯარებს — ეროვნულ გვარდიას მეთაურობს სარდალი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

3. შინაგანი ჯარები — ეროვნული გვარდია მოწოდებულია იცავდეს სამშობლოს ინტერესებს, მის ტერიტორიულ მთლიანობას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და პირად ღირსებას, მათს კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს დანაშაულებრივი ხელყოფისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისაგან;

მონაწილეობს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა აღკვეთაში, თუ ამ დარღვევებს მასობრივი ხასიათი აქვს, საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, იწვევს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის დეზორგანიზაციას;

მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ გამოცხადებული საგანგებო წესების განხორციელებაში, საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციაში; ხელს უწყობს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში,

4. მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის გამოყენება ხდება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

5. შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის რიგითი შემადგენლობის დაკომპლექტება ხდება საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებით, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ, ხოლო მეთაურთა შემადგენლობისა — საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებით ნებაყოფლობითის საფუძველზე, კონტრაქტით.

6. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატმა განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის წევრამდელებითა და მეთაურთა შემადგენლობით დასაკომპლექტებლად.

7. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის ორგანიზაციული, მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები.

8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიებმა მოამზადონ შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის შექმნასა და ფუნქციონირებასთან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

 თბილისი. 1990 წლის 20 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილება და დამატება საქართველოს რესპუბლიკის შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1. საქართველოს სსრ 1970 წლის 18 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. საქორწინო ასაკი

საქორწინო ასაკად მამაკაცებისათვის დაწესებულია 17 წელი, ქალებისათვის — 16 წელი“.

2. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლის დასახელება და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 119. სქესობრივად მოუმწიფებელ პირთან სქესობრივი კავშირი

სქესობრივად მოუმწიფებელ პირთან სქესობრივი კავშირი — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 20 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1990 წელს 27 დეკემბერს.

კარიერის დასასრული თუ... ნაბიჯი ახალი სავარძლისაკენ?!

სსრკ სახალხო დეპუტატთა IV ყრილობაზე საგარეო საქმეთა მინისტრის, დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი პოპულარული პოლიტიკოსის ედუარდ შევარდნაძის განცხადება გადადგომის შესახებ, როგორც პროტესტი მოსალოდნელი დიქტატურის გამო, სრულიად სამართლიანად მსოფლიომ ყველაზე დიდ სენსაციად აღიქვა.

ბუნებრივად იბადება კითხვები — რა იყო ეს, მოულოდნელად გამსკდარი ბომბი, საბჭოთა იმპერიის პრაქტიკისათვის დაუჯერებელი „ღია ეთერში გავარდნილი“ პოლიტიკური იმპროვიზაცია თუ გამოცდილი დიპლომატის და პოლიტიკურ ინტრიგებში გამობრძმედილი ფრთხილი მებრძოლის წინასწარ დეტალურად გაანგარიშებული ტაქტიკური სვლა? როგორ უნდა გავიგოთ მისი გამოსვლის მოკვარებული ემოციურობა, როგორც დეპუტატებზე და მსოფლიო საზოგადოებრიობაზე ზემოქმედების მოხდენის საშუალება თუ გულწრფელი აღშფოთება მემარჯვენეთა დაჟინებული შეტევის გამო? ერთი სიტყვით, კითხვა ბევრია. თუმცა ზოგიერთს თვით პრეზიდენტმა გასცა პასუხი, როცა განაცხადა, რომ სურვილი ჰქონდა ე. შევარდნაძის კანდიდატურის წამოყენებისა ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე. ასე რომ, შესაძლოა ჩვენს თვალწინ დიდი პოლიტიკის ავანსცენაზე კიდევ ერთი სპექტაკლი გათამაშდა, რომელიც, თუ პრეზიდენტის გამოსვლის საერთო მაჟორულ ტონს გავითვალისწინებთ, „ჰეფი ენდით“ უნდა დამთავრდეს. თუმცა მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, ყველაფერს უახლოესი მომავალი გვიჩვენებს — ეს შევარდნაძის კარიერის დასასრულია თუ ნაბიჯი ვიცე-პრეზიდენტის სავარძლისაკენ.



ვერა დავითიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი და საზოგადოება

ჩვენი მკითხველები გვთავაზობენ თავიანთ მოსაზრებებს კანონზე საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ.

დღეს საქართველო ისეთივე პრობლემების წინაშე დგას, როგორც 1917-18 წლებში. ამიტომ დიდად ანგარიშგასაწევია იმ წლების გამოცდილება. მაშინ ჯერ სახალხო გვარდია შეიქმნა, რომლის შესახებაც ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 21 ივნისს მიიღო კანონი და მხოლოდ შემდგომ გახდა შესაძლებელი რეგულარული ჯარის შექმნა. სახალხო გვარდია ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე კომპლექტდებოდა. მშვიდობიანობის დროს ადგილზე, რაიონულ შტაბებთან არსებობდა მხოლოდ მეთაურებისა და უნტეროფიცრების კადრების ნაწილი. პირადი შემადგენლობა, როშელსაც მობილიზაციის დროს იწვევდნენ, არასამუშაო საათებში და სასწავლო შეკრებებზე სამწყობრო და საცეცხლე მომზადებას გადიოდა. მსგავს პრინციპებზე აგებული საჯარისო შენაერთები რეგულარული არმიის გვერდით საზღვარგარეთის რიგ სახელმწიფოებში დღესაც არსებობენ: ნაციონალური გვარდია ამერიკის შეერთებულ შტატებში, საგრაფოების ჯარები დიდ ბრიტანეთში, „ჰაიმატშუტცი“, გერმანიის ყოფილ ფედერაციულ რესპუბლიკაში, ხოლო შვეიცარიაში ძირითად სამხედრო ორგანიზაციას სწორედ ასეთი შენაერთები წარმოადგენენ.

ვფიქრობ, რომ საქართველოში დღეს სწორედ ეროვნული გვარდია უნდა შექმნილიყო. ასეთ ვითარებაში პირდაპირ საკადრო ჯარის სისტემაზე გადასვლა არარეალურად მეჩვენება პოლიტიკური, ფინანსური, საკადრო თუ სხვა პრობლემათა გამო. ეროვნული გვარდია, ტერიტორიულ-მილიციური შენაერთების სახით ბევრად გაადვილებს ქართული საჯარისო ფორმირებების შექმნას. საქართველოს ყველა კუთხეში უნდა შეიქმნას ეროვნული გვარდიის რაიონული შტაბები, რომლებიც შეძლებისდაგვარად დაკომპლექტდებიან ოფიცრებითა და უნტერ-ოფიცრებით. ახალგაზრდებს, რომლებსაც ადრე საოკუპაციო ჯარებში უნდა ემსახურათ, შეხვაჭრებლობა ექნებათ სამშობლოს ქართულ ენაზე ემსახურონ ქართულ ნაწილებში. სამსახურის ვადა შეიძლება 6 თვიდან 1 წლამდე შემოფარგლოს. ამის შემდეგ გვარდიელები ყოველ წელს რამდენიმეჯერ უნდა მიდიოდნენ საწვრთნელ შეკრებებზე, სადაც სამხედრო მომზადების დონეს აიმაღლებენ. გარდა წვევამდელებისა, ეროვნულ გვარდიაში სამსახურის უფლება ყველა მოხალისეს უნდა ჰქონდეს. რა თქმა უნდა, გვარდიაში უნდა იყოს სპეციალური ნაწილებიც — ჯავშნატახჩო, საავიაციო, საარტილერიო, აუცილებლად ცხენოსანთა და სხვა. ამრიგად, რეგულარული ჯარის შექმნამდე, ეროვნული გვარდია კარგი სამხედრო სკოლა იქნება მთელი ქართველი ერისათვის და ხალხში მხედრული სულის აღორძინებას მოემსახურება. რეგულარული არმიის ჩამოყალიბების შემდეგაც შეიძლება გვარდიის, როგორც სათადარიგო ჯარების ინსტიტუტის გამოყენება.

საქართველოს სახალხო გვარდიას არაერთი სამსახური გაუწევია სამშობლოსათვის, დღევანდელმა ეროვნულმა გვარდიამ ღირსეულად უნდა განაგრძოს წინამორბედთა ტრადიციები და საფუძველი ჩაუყაროს საქართველოს სამხედრო ძლიერებას.

მაჭუკა წულუკიძე,
ექიმი.

●

უზენაესმა საბჭომ დროული და აუცილებელი გადაწყვეტილება მიიღო — უნდა შეიქმნას საქართველოს ეროვნული გვარდია...

დღეს ჩვენი ერი ურთულესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, ეს პრობლემები ძალიან მალე ითხოვენ გადაჭრას, სხვაგვარად საფრთხე ემუქრება მშვიდობას საქართველოში. ეროვნული გვარდიის შექმნა კი ამ პრობლემათა გადაჭრის ერთ-ერთი უპირველესი საშუალებაა.

ვფიქრობ, დღეს ყველა ქართველს აქვს შეცნობილი ის სირთულეები, რასთანაც არის დაკავშირებული გვარდიის შექმნის პროცესი: საჭირო იქნება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იარაღი, სპეცტანსაცმელი და ა. შ. ამასთან უნდა ველოდოთ ცენტრის დაწოლასაც.

ვფიქრობ იმისათვის, რომ სესიაზე მიღებული დადგენილება, რაც შეიძლებოდა მოკლე დროში ვაქციოთ საქმედ, უპირველეს ყოვლისა უნდა დაიმალოს საქართველოში ყველა შეიარაღებული არაოფიციალური ფორმირება და მოხდეს მისი გაერთიანება საქართველოს ეროვნულ გვარდიაში. ეს არის ჩვენი გადარჩენის ერთადერთი რეალური გარანტი.

სოსო პანტურია,
ეკონომისტი.

●

ქვეყანა შაშინ არის ძლიერი, როცა მას საკუთარი თავის, საკუთარი ხალხის დაცვა შეუძლია. მივესალმები ამ ძლიერებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს — ეროვნული გვარდიის შექმნას. გამოვთქვამ რწმენას, რომ ისევ და ისევ საქართველოს ძლიერებისთვის, ამ გვარდიაში გაერთიანდება დღეს საქართველოში არსებული ყველა არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირება.

ზურაბ ლეგბანიძე,
სამთო-მეშენიერის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

●

მივესალმები საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული—გვარდიის შექმნას. ამიერიდან უკვე დაიმედებულები ვიქნებით იმით, რომ გვყავს ისეთი ეროვნული არმია, რომელიც ჭეშმარიტად მფარველად მოევლინება ჩვენს სამშობლოსა და ხალხს, დაიცავს მის ინტერესებს. ეროვნული გვარდიის შექმნით საფუძველი გამოიცლება სხვადასხვა საჯარისო ფორმირებების არსებობას, რომელთა გულშემატკივრობამ ლამის არის დაყოს ქართველი ხალხი და ერთმანეთს დაუპირისპიროს. ჩემი აზრით, ეროვნული გვარდიის შექმნა ხელს შეუწყობს ეროვნული ძალების გამთლიანებასაც. და კიდევ ერთი, რაც ალბათ, ბევრ დედას გაახარებს. მე ერთი ვაჟი მყავს. ორიოდე წელში იგი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევი იქნება, როგორც — აქამდე ვეძახოდით ჯარში სამსახურს. გამოვტყდები და ვიტყვი, რომ ათას გზას ვეძებდი, რათა ჯარიდან დამეხსნა. ამიერიდან კი პირიქით, ვიამაყებ კიდეც, რომ ჩემი ვაჟი ეროვნულ გვარდიაში იმსახურებს, რადგან ეს იქნება არა მხოლოდ **ხავალდებულო** სამხედრო სამსახური, არამედ ღირსების საქმე ყველი ქართველი ჭაბუკისათვის, მათი პატრიოტული გრძნობის ერთგვარი გამოხატულება.

ნანა ზიხიაშვილი,
თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საქართველოს“ გაზეთის უფროსი.

გაიმართა „მრგვალი მაგიდა— თავისუფალი საქართველოს“ აპარის რეგიონული ორგანიზაციის პირველი სხდომა. სხდომის მუშაობის დაწყების წინ ბათუმის წმინდა ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის მოვდელმა მამა გიორგიმ აკურთხა სხდომათა დარბაზი და დალოცა მონაწილენი. ამ ორგანიზაციის სპიკერმა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა, საქართველოს ჰელსინკის კავშირის ბათუმის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნოდარ იმნაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ სანუკვარი მიზნის — საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევისაკენ უნდა ვიაროთ პოლიტიკური ბრძოლის გზით. ჩვენ დიალოგისათვის ვიწვევთ ყველას პოზიციების დაახლოებისა და დასახული ამოცანის გადასაწყვეტად ძალისხმევის გაერთიანებისათვის.

„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ აპარის რეგიონული ორგანიზაციის მუდმივი წევრები გახდნენ საქართველოს ჰელსინკის კავშირის ბათუმის რეგიონული ორგანიზაციები, სრულიად საქართველოს ილია მართლისა და მერაბ კოსტავას საზოგადოებები, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, სტუმრის სტატუსი და სათბობრო ხმის უფლება მიენიჭა სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოებას.

●

19 დეკემბერს ცხინვალში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ქ. ცხინვალის კომენდანტი, მილიციის გენერალ-მაიორი გივი კვანტალიანი, საგანგებო მდგომარეობის რაიონში მოქმედი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარის ნაწილის მეთაური, გენერალ-მაიორი ჰენრიხ მალიუშკინი და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი კანტემიროვი.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რეგიონში სიტუაციას კონტროლს უწევენ საქართველოს მილიცია და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები, მდგომარეობა თანდათან სტაბილური ხდება და რომ ამ პროცესს ყველამ უნდა შეუწყოს ხელი, რაათა თავიდან ავიცილოთ ქართველი და ოსი მოსახლეობის დაპირისპირება.

ქრონიკა.

ინფორმაცია

●

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ **არჩილ გეორგას ძე მანჯგალაძე** დანიშნა საქართველოს ეროვნული საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ დირექტორად.

●

როგორც 19 დეკემბერს, საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი წერეთელმა განაცხადა, იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა საქართველოს ურთიერთდაპირისპირებული ეროვნული ძალების შერიგება, ის იწყებს უვადო შიმშილობას საკვდილამდე.

●

18 დეკემბერს შვეიცარიის ქალაქ ციურიხიდან ფოთისაკენ აიღო კურსი მრავალტონიანმა ტრაილერმა. იგი დატვირთულია ფოთის ნავსადგურის მუშაკებისათვის განკუთვნილი კვების პროდუქტებით სავსე ამანათებით, რომლებიც სპეციალურად მათთვის შეაგროვეს საჩუქრად ციურიხელებმა.

●

17 დეკემბერს, ტყვარჩელში, № 8 შახტის მესამე უბანზე ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების დროს მოხდა აფეთქება. როგორც გვაცნობა აფხაზეთის პროკურორის პირველმა მოადგილემ ანზორ ლაცუზბაიამ, აფეთქების მიზეზი სავარაუდოდ გახდა მეთანის ან ქვანახშირის მტვრის ამოფრქვევა. სამი მეშახტე დაიღუპა, ერთი მძიმედ დაშავდა.

●

1990 წლის 23 დეკემბერს, დილის 9 საათზე, ამიერკავკასიის სამხედრო კლუბის დარბაზში შედგება თბილისის II პირველობა ჯარატეში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობენ სპორტული კლუბებისა და სტილური ფედერაციების გუნდები.

გუნდების რეგისტრაცია და სპორტსმენთა აწონვა იწყარმოებს შაბათს, 22 დეკემბერს, დღის 4 საათზე, ასკ დარბაზის ფოიეში, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის სპორტკომპლექს „ბურევესტნიკის“ გვერდით.

შეხვედრა მინისტრთან

ჯონი ხეცურიანი: „ცენტრის ბოლო კოზირი ავტონომიების კარტის გათამაშებაა“.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში ამას წინათ გაიმართა პრესკონფერენცია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის ახლადდანიშნულ მინისტრთან ბატონ ჯონი ხეცურიანთან.

შეხვედრაზე მინისტრმა აღნიშნა რომ განზრახულია რიგი რეფორმების გატარება სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში. რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს, მოხდება მისი ამჟამად შეზღუდული უფლებების გაფართოება, ამასთან მოსალოდნელია გამომძიების სისტემის იუსტიციის სამინისტროსადმი დაქვემდებარებაც. ამჟამად მრავალი ახალი კანონი მზადდება როგორიცაა, მაგალითად, კანონი მიწის საკუთრებაზე, რეფერენდუმზე, სამხედრო სავალდებულო სამსახურზე, ქორწინებისათვის ნებადართული ასაკის შემცირებაზე. ამით შეიქმნება სამართლებრივი საფუძველი საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებად.

შემდგომ ბატონმა ჯონი ხეცურიანმა უპასუხა პრესისა და ტელევიზიის კორესპონდენტთა შეკითხვებს. მთ შორის ყველაზე ცხოველი ინტერესი გამოიწვია ე. წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებმა.

— როგორია სამხრეთ ოსეთში მომხდარი ფაქტისა და ჩვენი გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველი? რა შეუძლია „ცენტრს“ მოიმოქმედოს მოცემულ შემთხვევაში?

— ოლქის გაუქმების შესახებ საკითხს ზუსტი რეგლამენტაცია კანონმდებლობაში არ არსებობს. კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ოლქის ან ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა არის მოკავშირე რესპუბლიკის კომპეტენცია. ცენტრი კი ამ გადაწყვეტილებას ამტკიცებს. გარკვეული მოსაზრებებით, პირდაპირი პასუხი კითხვაზე, თუ ვინ აუქმებს მათ, არსადაა მითითებული. მაგრამ სამართალს აქვს ლოგიკური, [illegible]ული ახსნა-განმარტება. ამიტომ ბუნებრივია, გაუქმების უფლება აქვს იმას, ვინც შექმნა. წარსულის გამოცდილების მიხედვით, ამას ყოველთვის აკეთებდა ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. მაგალითად, მოკავშირე რესპუბლიკის შემთხვევაში საკავშირო [illegible] ყრილობა [illegible] ამ [illegible] რაკი კონსტიტუცია [illegible] ხელისუფლებას საქართველოს [illegible] — უზენაეს საბჭოს [illegible], ბუნებრივია მასვე [illegible] გაუქმების უფლებაც.

კონსტიტუციით ამ ორგანოს [illegible] საზღვრების შეცვლის [illegible] ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის უფლებაც. ამიტომაც, ოსეთის საკითხთან დაკავშირებულ რამდენიმე ვარიანტთაგან ერთ-ერთი იყო საზღვრების შეცვლა და ოლქის შემადგენლობაში მხოლოდ იმ ტერიტორიის დატოვება, რომელიც ოსებით კომპაქტურადაა დასახლებული. მაგრამ მათმა თავხედობამ საპირო გახადა გადამჭრელი ზომების მიღება არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამართლებრივ თვალსაზრისითაც.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვხელმძღვანელობდით რიგი არგუმენტებით: ოს ხალხს საბჭოთა სახელმწიფოში გააჩნია თავისი სახელმწიფოებრიობა ჩრდილო ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახით, რომელიც ადრე ოლქი იყო, ახლა კი რესპუბლიკად გამოცხადდა. ამდენად, ოსი ხალხის თვითგამორკვევა თავის მიწა-წყალზე უკვე მომხდარია. მაგრამ ამავე სახელმწიფოს ფარგლებში მათ კიდევ მეორე სახელმწიფოებრივი ერთეული — ავტონომიური ოლქი აქვთ შექმნილი. ამასაც აღარ ჯერდებიან და რესპუბლიკას აცხადებენ. ერთ სახელმწიფოში ორი რესპუბლიკა! ეს იგივეა, რომ ბორჯომის რაიონში, სადაც ისინი კომპაქტურად არიან დასახლებულნი, ავტონომიური ოლქის შექმნა მოითხოვონ. საერთაშორისო სამართლის ნორმებით ეს მიუღებელია, ცნობილია, რომ ერთ ერულ უმცირესობებს აქვთ მხოლოდ კულტურული ავტონომიის მოთხოვნის უფლება. იქვე კატეგორიულად არის მითითებული, რომ მათ ამ უფლების გამოყენებით არავითარ შემთხვევაში საფრთხე არ უნდა შეუქმნან იმ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, სადაც ცხოვრობენ. ეს აკრძალულია. ოლქში მოსახლე ოსები სწორედ ამას აკეთებენ. აცხადებენ რესპუბლიკას, რომელზეც, ბუნებრივია, ჩვენი იურისდიქცია აღარ ვრცელდება. ანუ, ასე ვთქვათ, ეს ტერიტორია აღარ შემოდის საქართველოს შემადგენლობაში. ამით ირღვევა ტერიტორიული უზენაესობის პრინციპი — სუვერენიტეტის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი. ამიტომაც, სსრკ მოქმედი კანონმდებლობიდან და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, ჩვენ ეს ავტონომიური ოლქი გავაუქმეთ. ამასთან გავითვალისწინეთ ისიც, რომ საქართველოში სულ 160 ათასი ოსი ცხოვრობს. აქედან ოლქის ტერიტორიაზე კი მხოლოდ 60 ათასი

რა შეიძლება ამას „ცენტრის“ მხრიდან მოჰყვეს? როგორც ვიცით, მათი ბოლო კოზირი ავტონომიების კარტის გათამაშებაა. შეიძლება ჩვენი გადაწყვეტილება, როგორც „ადამიანთა უფლების შემლახავი“ (?) იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადონ. ასევე ოსებსაც მიუთითონ მათი დადგენილების არაკანონიერებაზე. მაგრამ „ცენტრს“ თვით სსრკ კონსტიტუციიდან გამომდინარე, ჩვენს სესიაზე მიღებული კანონის გაუქმების უფლება არა აქვს.

ჩვენ ავტონომიებისათვის ხელის ხლებას მიზანშეწონილად არ ვთვლიდით. ამიტომაც, სანამ რესპუბლიკას გამოაცხადებდნენ, მათ მოლაპარაკება შევთავაზეთ. პასუხად ის იყო, აი, რესპუბლიკას გამოვაცხადებთ, და რესპუბლიკების წარმომადგენელთა შეხვედრის დონეზე ვილაპარაკოთო.

მოლაპარაკებას რომ ვთავაზობდით, ჩვენ გვინდოდა თავიდან აგვეცილებინა სისხლისღვრა; მეორეც, არავინ იცის, იქაური ახლანდელი ხელისუფლება როგორ მოვიდა სათავეში, ვინ აირჩია.

იმედი მაქვს, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება, სამართლიანობა გაიმარჯვებს.

პრესკონფერენციის დასასრულს ჟურნალისტებმა მადლობა გადაუხადეს ბატონ ჯონი ხეცურიანს საინტერესო საუბრისათვის.

ჩაიწერა
მაია თუნგიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსათხოვარი

არ დაივიწყებს...

ქაშვეთში პანაშვიდი გადაუხადეს ცხინვალში ტრაგიკულად დაღუპულებს რეზო ურიდიასა და დავით ზარდიაშვილს. მათთან ერთად დაღუპული სერგო ცხოვრებაშვილი ადრე დაკრძალეს.

მთავრობის სახლის წინ, ცხა აპრილის მოედანზე მოვიდნენ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საძღვდელოების წარმომადგენლები, ათასობით თბილისელი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული დელეგაციები, მოვიდნენ განსვენებულებთან გამოსათხოვნელად.

მთავრობის სახლის წინ, ცხრა აპრილის მოედანზე გამართულ საგლოვიარო მიტინგზე მოკლე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს უზენაესი სამეფოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ. მან აღნიშნა, რომ ეს ადამიანები იყვნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივიდან. ისინი ჩრდილში რჩებოდნენ, შეუმჩნეველად აკეთებდნენ საშობლოს განთავისუფლების დიდ საქმეს. ამიტომ საშობლო, ხალხი მათ არ დაივიწყებს.

დაღუპულთა ნეშთები საბურთალოს საძმო სასაფლაომ მიიბარა.

ხს „საქართველო"

ზიხეილ კიკვაძის ფოტო.
ხს „საქართველოს" ფოტოქრონიკა.

უკანასკნელი ყოფილიყოს

ინგა რუხაძე

ცხრა აპრილი არასოდეს არ დამთავრდება...

და კვლავ რომ გრძელდება, ამან რამდენიმე დღის წინათაც შეგვახსენა თავი 19 წლის ინგა რუხაძის გარდაცვალებით...

ავადმყოფობა, რომელიც სასიკვდილო აღმოჩნდა (მწვავე ლეიკოზი), ტრაგედიიდან რამდენიმე თვის შემდეგ აღმოუჩინეს. მანამდე ჯანმრთელი ეგონა თავი და ჩვეულებრივად დადიოდა, ცხოვრობდა, ხარობდა, სწყინდა...

ამ რვა თვის უკან მა'ბინდელ მთავრობას შეატყობინეს ინგას ჯანმრთელობის მდგომარეობა, დახმარებაც აღუთქვეს, მაგრამ... სიტყვები გამოილია, ცხრა აპრილი კი არასოდეს არ დამთავრდება... ერთიღა დაგვრჩენია — ვთხოვოთ ღმერთს, ინგა რუხაძე უკანასკნელი მსხვერპლი ყოფილიყოს.

9 აპრილს მოწამულთა-დახმარების კომიტეტი

სამაჩაბლოს აღორძინების ფონდს

ცეკავშირის თბილისის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხანა მხარს უჭერს ძირძველი ქართული მიწის აღორძინებისათვის წამოწყებულ საქმიანობას. მიგვაჩნია, რომ სამაჩაბლოში ქართული სოფლების აშენება საშვილიშვილო საქმეა და ქართულ მიწაზე ქართველი კაცის დასახლება საქართველოს ერთიანობის განმტკიცებისათვის კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ქარხნის კოლექტივი სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში რიცხავს 5 ათას მანეთს და იღებს ვალდებულებას, რომ მომავალში სახლების მშენებლობისათვის მიაწვდის საჭირო სამშენებლო კონსტრუქციებს.

ცეკავშირის თბილისის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხნის კოლექტივი

●

სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სამეურნეო ასოციაცია „თბილისის" სამშენებლო სარემონტო სამმართველოს შრომითი კოლექტივის გადაწყვეტილებით სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში გადარიცხული იქნა სამი ათასი მანეთი.

შრომითი კოლექტივის სახელით:
სამმართველოს უფროსი **ლევან მაისაშვილი.**
პროფკომიტეტის თავმჯდომარე **ზურაბ თედორაძე.**

ვაშფლეტი

„ლაპარაკობს და უჩვენებს მოსკოვი"

„...მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ..."

ისევ ყრილობა... რიგით მეოთხე. (??)

ისევ დებატები...

ისევ ბჭობა; „...ვინ არის დამნაშავე?!" „...რა ვაკეთოთ?!"

ისევ ლუკიანოვი...

ისევ გორბაჩოვი...

ისევ ის დეპუტატები...

ისევ მოხსენება; „ქვეყანაში შექმნილი კრიზისული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, მისი დაძლევის გზები" (??)

ისევ ის სულთამხუთავი კრიზისი, შიმშილი, უბედურება, რომლის მოთოკვა, აგერ უკვე მეექვსე საპერესტროიკო წელიწადია, ვერა და ვერ მოხერხდა.

ისევ შეკითხვა; ვინდობით თუ არა პრეზიდენტს?!

და თუ არ ვენდობით, ვინ გვყავს შემცვლელი?!

300-მილიონიან ქვეყანაში, უმდიდრესი პოტენციური შესაძლებლობების მქონე, უძლიერესი თანამედროვე იარაღით კბილებამდე შეიარაღებულ სახელმწიფოში, რომელსაც სამყაროს, კაცობრიობის წუთში განადგურება შეუძლია, უსაზღვრო ადამიანური, ბუნებრივი რესურსების მქონე იმპერიაში, თუ მეორე ადამიანი არ მოიძებნება, რომელიც სხვას, „ვინმეს", — გინდა პრეზიდენტის ჩათვლით, — ვერ შეცვლის, ადამიანს ადამიანობას ვერ დაუბრუნებს, — კარგად ყოფილა იმ ქვეყნის საქმე.

აკი არის კიდეც, შედეგი, — საქვეყნო სკეპსისი, უიმედობა, სოციალური კატაკლიზმები.

ასეთი იყო და არის საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს მორიგი მეოთხე ყრილობის გახსნის, მისი შემდგომი დღეების „მუშაობის" მთლიანი სიუჟეტი — ფარსი, შედეგები.

არც მისი დამთავრების „დრამატულობის", „სიურპრიზების" არ სჯერა კაცს. მსგავსი რამ იყო... იყო...

თავმჯდომარე ლუკიანოვს ისევ საიმპერიო, სააპარატო „არტისტიზმის", საპროცედურო ფანდებისა და ხრიკების დემონსტრაციით გაჭრონდა და გააქვს მოსკოვური ცენტრის „ლელო".

როგორც მავანი მრავალი მეშარჯენე „მენსტრელი" დეპუტატები მოუწოდებენ, ამტკიცებენ და სჯერათ, „საბაზრო ეკონომიკა" კი არ გვიშველის, ისევ კომპარტია და არმია თუ გვიშველისო, და რომ „ცარ-პუშკას" ჯერაც არ გაუსროლიაო, ზალპი არ მიუციაო და „ცარ-კოლოკოლს"-საც ჯერ არ შემოუკრავსო.

ძნელია ამის მთქმელს დაეთანხმო.

„ცარ-პუშკამ" ერთხელ კი არა, რამდენჯერმე გაისროლა, და ისიც როგორ. „ავრორამაც" ზალპი უყო „ზიმნის".

„ცარ-კოლოკოლმაც" შემოჰკრა არაერთხელ.

საკაცობრიო ისტორიაში რაღა არ ხდება. რას არ მოეზწრება კაცი;

73-წლის განმავლობაში სამყარო შიშით ძრწოდა, შესცქეროდა საბჭოთა ტოტალიტარულ, იმპერიულ რეჟიმს, რომლის საფუძველი ძალადობა, ინკვიზაცია იყო. ამ ინკვიზაციამ მეორე მსოფლიო ომი მოიგო, გაიმარჯვა, საკუთარი ხალხი სისხლში ჩაახრჩო. შედეგი; დამარცხებული ქვეყნები, კაცობრიობა აყვავდა, ჰყვავის, საბჭოური იმპერია კი შიმშილით, ძმათამკვლელობით სულს ღაფავს.

დღეს, ამ ტრაგიკულ მდგომარეობაში მყოფ, მომაკვდავ იმპერიას, დამონებულ ხალხებს, მსოფლიოს ქვეყნები, — მათ შორის საბჭოური სისტემის, იმპერიის მიერ დამარცხებული, განადგურებული ქვეყნები, — დახმარების ხელს უწვდიან, პურით, საკვებით, საარსებო საშუალებებით ამარაგებენ.

ასე დასაჯა ისტორიამ დამსჯელი.

ისტორიული გაკვეთილები არ იკარგება.

არც სანთელ-საკმეველი კარგავს ოცვის გზას.

ახლახან გენერლები ამტკიცებდნენ; პრეზიდენტი უარმოდ დარჩაო. ეს პრობლემა პრეზიდენტმა როგორღაც „მოაგვარა".

ახლა ამბობენ; პრეზიდენტი კულტურის (ასე გავიგე — ინტელიგენციის) გარეშე დარჩაო. ალბათ ამ საქმესაც მოევლება.

ქვეყანას... ადამიანს როდისღა მოევლება??

პრეზიდენტის სიტყვიერ სამყაროსა და რეალურ ვითარებას შორის დისპროპორცია ხშირად მიუღებელი და გამაღიზიანებელია, ისევ რეორგანიზაციები, საკადრო გადაჯგუფება-გადმოჯგუფება, „პოლიტლატარეის" თამაში, დაპირებები... დაპირებები... პოლიტიკა რაგბის თამაში არ არის, — ძალისმიერი ილეთები, ტაქტიკა აქ გამორიცხულია, განწირულია. რუსები იტყვიან; „...დანაპირებს — სამი წელიწადი ელიან"-ო. დაუმატებდით, — და არა — ექვს საპერესტროიკო წელიწადს.

ისევ საკადრო ცვლილებები... სახელმწიფოს, საზოგადოების მართვის ახალი ინსტიტუტების შემოღება-ჩამოყალიბება.

კრილოვის იგავია: „კაკ ბი ვი ნი სადილის, ვ მუზიკანტი ნე გოდიტეს".

დღევანდელი საბჭოთა იმპერიის სინამდვილეში, პოლიტიკის, პოლიტიკოსის სტრატეგია, ხელისუფლების ოსტატობა, ეტყობა ძნელად მისაღწევია. ამას თავისი ისტორიული, ობიექტური და სუბიექტური მიზეზები განაპირობებენ.

მოკლედ, ვუყურებდი, ვუსმენდი კრემლის სასახლის ყრილობათა დარბაზში „შეკრებილ" დეპუტატებს, პრეზიდიუმში მჯდომ პრეზიდენტ გორბაჩოვს, — მის გვერდით მჯდომ ელცინს ღიმილით რომ ესაუბრებოდა, ვუსმენდი პრეზიდენტის მორიგ, ტრიბუნებიდან წარმოთქმულ, უკვე ყელში-ამოსულ რიტორიკას, წყალწყალა სოფიზმს და ერთი რუსული თქმა მაგონდებოდა; „...კაკ სგუსია ვოდა"...

ქართველებსაც გვაქვს შესატყვისი ანდაზა — გამოთქმები; ვთქვათ, „...მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ... იმას კი ტყისკენ ეჭირა თვალი"-ო.

„ცარ-კოლოკოლ"-ის ზარი ისევ შემოკრავს თუ არა. — ძნელია ამის მტკიცება, მაგრამ ხალხი ერთიან „ზარს" რომ შემოკრავს და თავისას იზამს, — ამისი უნდა გვჯეროდეს. ისტორია დამიმოწმებს.

„ცარ-პუშკა" კი ჟანგმა შეჭამა, „გასროლა" უკვე გვიანია.

„გასვრის" და... ნაადრევად შეეწირება.

ავთანდილ გველესიანი

ექსტრასენსთა მოსამზადებელი კურსები — მოთხოვნით!

არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის ცენტრთა კიევის საერთაშორისო დირექცია იუწყება რომ:

რადგანაც ვერ მოხერხდა ყველა მსურველის მიღება საბჭოთა კავშირ-კანადა-ამერიკის ერთობლივი ფირმა „MrG"-ს მიერ მოწყობილ ექსტრასენსთნიკის შემსწავლელ კურსებზე, ამიტომ ფირმის ადმინისტრაცია აწყობს მსურველთა მოთხოვნით განმეორებით კურსებს ქ. თბილისში 1991 წ. 10 იანვრიდან 22 იანვრამდე.

კურსდამთავრებულებს მიეცემათ საერთაშორისო კატეგორიის მოწმობები, დამოწმებული საერთაშორისო ცენტრის მიერ, რომელიც აწარმოებს სამედიცინო საქმიანობას შემდეგ ქვეყნებში: აშშ, კანადა, ისრაელი, ჩეხოსლოვაკია.

ფირმის წარმომადგენლები, კურსდამთავრებულთაგან შეარჩევენ სარეზერვო ჯგუფს საზღვარგარეთის ანალოგიურ ცენტრებთან თანამშრომლობისათვის (აშშ, კანადა, ისრაელი, ჩეხოსლოვაკია).

სწავლების ღირებულება გადაიხდება როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე.

ცნობებისათვის მიმართეთ **ტელ:39-50-73, 10 სთ-დან 16-00 სთ-მდე.**

ახათიანის ქ. № 7ა, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატის შენობა. VI სართული, ოთახი № 16.

ყურადღება

საქველმოქმედო - კომერციული ფირმა „ჰუმანიზმის" სერვისბიურო გთავაზობთ საშუამავლო დახმარებას:

1. ბინების ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, ქირაობა-გაქირავება გაგირავება-დაგირავება.
2. მანქანების ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა.
3. ავეჯის ყიდვა-გაყიდვა.

მიმართეთ ფირმის წარმომადგენლობას მისამართზე **ონიაშვილის № 11 (ვაგარინის მოედანთან) 9-დან 6 საათამდე** გარდა შაბათ კვირისა.

ტელეფონი: 87-55-93.

ᲗᲚᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ ᲗᲠᲘᲒᲝ

ᲙᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲚᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲐᲛᲬᲘᲜᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ „ᲐᲠᲒᲝ“.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝ�თᲔᲙᲐ

ᲕᲘᲗᲐᲛᲐᲨᲝᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ... ᲜᲐᲠᲓᲘ?!

ᲣᲜᲓᲐ ვითამაშოთ... სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე, უსათუოდ უნდა შევიყვარო ნარდი, რომელიც, დამეთანხმებით, აქამდე მხოლოდ გართობის (ხშირად კი დროის ფოკვლის) ერთ-ერთ საშუალებად ითვლებოდა. ამ რამდენიმე ხნის წინათ დამთავრებულმა საქართველოს პირველმა ღია ჩემპიონატმა კი მეც და, ალბათ, ბევრიც დაარწმუნა, რომ ნარდი მეტად სერიოზული თამაშია. ახა, აქამდე ვინმე წარმოიდგენდა, რომ მონარდემ რომელიმე კონკრეტულ სვლაზე 10 წუთი იფიქროს, ან კიდევ ის, რომ მრავალ ქვეყანაში ნარდის შესწავლისას ურთულესი მათემატიკური გამოთვლებისათვის კომპიუტერებს იშველიებენ...

საერთოდ, რომელიმე ღონისძიების კარგად ჩატარებისთვის ჟურნალისტები სულ ბოლოს ვუხდით ხოლმე ორგანიზატორებს ძადღობას. აქ კი, ვფიქრობ, მარტო ჩემი აზრი არ იქნება, თუ დიდის მადლიერების გრძნობით ძოვიხსენებ და ნარდის ქართველი გულშემატკივრების სახელით უღრმეს მადლობას მოვახსენებ ამ საინტერესო და დაუვიწყარი შეჯიბრების ერთ-ერთ ძთავარ სულისჩაძდგმელს და ორგანიზატორს, საქართველოს ნარდის ფედერაციის პრეზიდენტს, ასოციაცია „იხფოკულტურის“ პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სურგულაძეს. სხვათა შორის, ბატონმა მიხეილმა (როგორც შეეფერება ჩვენი ნარდის ფედერაციის პრეზიდენტს) ქართველთაგან მოკლე ნარდში ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა — III ადგილი დაიკავა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, ისიც ნახევარფინალში, 1990 წლის მსოფლიოს თასის მფლობელთან, ამერიკელ ალან შტეფენთან.

ასევე, მადლობა უნდა ვუთხრათ ყველა იმ ორგანიზაციას თუ წარმოებას, ვინც სპონსორობა გაუწია საქართველოს პირველ ღია ჩემპიონატს ნარდში, და, აქაც, არ შეეცდები, თუ ცალკე გამოვყოფ ძირითად სპონსორს, კომერციულ ფირმა „ვესტას“, რომლის პრეზიდენტიც ბატონი მერაბ კიკალეიშვილი ასევე მეტად მაღალი კლასის მონარდედ მოგვევლინა. ახლა კი გავეცნოთ დანარჩენებსაც, ვისი ხელშეწყობითაც ჩატარდა ეს ისტორიული ჩემპიონატი: აგროფირმა „სამგორი“, კომერციული ბანკი „თბილისი“, თბილისის პარფიუმერიის ქარხანა „ივერია“, სავაჭრო სამრეწველო ფირმა „ლილო“, თბილისის მანქანათმშენებელი ქარხანა, ნებაყოფლობითძ სახანძრო საზოგადოება, კოოპერატივი „თბოსერვისი“, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის პროფკომიტეტი, ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების უბანი, ფირმა „საქმშენინდუსტრია“, ტრესტ „მშენინდუსტრიის“ პროფკომიტეტი, საწარმოო სამეცნიერო ცენტრი „რეზონანსი“, „კავკასტრანსმშენის“ გაერთიანებული პროფკომიტეტი და, აგრეთვე... გერმანული ფირმა „ვაიზერი და პარტნიორი“. დამეთანხმებით, პატივცემულო მკითხველებო, რომ ამდენ სპონსორს ყველა ინატრებდა. ხოლო ტურნირზე მრავლად იყო მოულოდნელობებიც, მარცხდებოდნენ ფავორიტები, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემპიონები ღირსეული მონარდეები გახდნენ. ასე მაგალითად, გრძელ ნარდში — „ოქროს კამათლისა“ და 5000 მანეთის მფლობელი გახდა 43 წლის ბაქოელი ვაგიფ ბაბაევი, რომელიც ნარდს 30 წელია მისდევს და მუშაობს... ფრენბურთელთა ერთ-ერთ გუნდში მწვრთნელად. ასევე აზერბაიჯანის წარმომადგენელს, მეტად ემოციურ და საინტერესო პიროვნებას ფაიქ ჰუსეინოვს ხვდა წილად ყველაზე დიდი გამარჯვება — I ადგილი მოკლე ნარდში, რამაც ფულად ჯილდოდ 10000 მანეთი მოუტანა. მის მაღალ ოსტატობაზე ისიც მეტყველებს, რომ ნახევარფინალში ჯერ 1988 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, გერმანელი ფილიპ მარმორშტაინი დაამარცხა, ფინალში კი წლევანდელი მსოფლიოს თასის მფლობელი, ამერიკელი ალან შტეფენი.

...და აი, საზეიმო დაჯილდოებაც. უამრავი პრიზი თუ ფულადი ჯილდოები (როგორც „საწყალ“ მანეთებში, ისე „კაცურ“ დოლარებში) გადაეცათ შეჯიბრების მონაწილეებს. თავისი პრიზი ჰქონდა დაწესებული თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომს, რომელიც განკუთვნილი იყო საუკეთესო უცხოელი მონარდესათვის და იგი მართლაც ღირსეულ მონარდეს ალან შტეფენს გადაეცა. რა თქმა უნდა, უამრავ პრიზებში მაინც გამოარჩევდა „ბერიკონში“ შვკრებილი ნარდის მოყვარული ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ძხატვარ-დიზაინერის, ბატონ სერგო სავანელის ნამუშევრებს. აქვე, იმასაც დავძენ, რომ, ტრადიციისამებრ, ბატონმა სერგომ ყველა ეს პრიზი უსასყიდლოდ გადასცა ორგანიზატორებს... ახლა კი შემოგთავაზებთ მინი-ინტერვიუებს საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატის მონაწილეებთან, რომლებმაც სხვადასხვა შედეგს მიაღწიეს ამ ტურნირზე.

●

ცოტა არ იყოს, მოღუშული შემოვიდა „ბერიკონში“ (სადაც ფინალური შეხვედრები იმართებოდა) და თავიდან თვალი ავარიდე კიდეც. თან ვიცოდი — ამ ჩემპიონატს პირველივე ეტაპიდან გამოეთიშა, არადა, არ დაგვავიწყდეს, ის ხომ ამასთან საქართველოს ნარდის' ფედერაციის ვიცეპრეზიდენტიცაა. მაგრამ, რესპუ**ბლიკის სახალხო არტისტი,** ბატონი ბორის (შინაურებისთვის ბორია) წიფურია თვითონვე გამომეცნაურა..

— ბატონო ბორის, გეტყობათ, რომ ნაწყენი ხართ დამარცხებით...

— გულწრფელად გუუბნებით — წაგებას ვერ ვიტან ვერაფერში. მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ასეთი ბედნიერი არა ვყოფილვარ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ამ წაგებით რა სიამოვნება მივიღე...

— თქვენი მეტოქეები, თუ არ ვცდები, გერმანელები იყვნენ, არა?

— აბა ქართველთან ხომ არ წავაგებდი?! ამის ვარიანტი არ იყო — ან მოვკლავდი, ან მოვიგებდი...

— მაინც რა იყო მიზეზი თქვენი ასეთი „ხუსტი“ გამოხვლისა?

— მიზეზი ბევრია, თანაც იმდენი, რომ ხანდახან მგონია, სპეციალურად ხომ არ მომიწყვეს მეთქი. აბა წარმოიდგინეთ — პირველად ვთამაშობდი ბარხატის ნარდზე, პირველად მეკავა ჰქონა კამათლის გასაგორებლად, რა თქმა უნდა, პირველად ვთამაშობდი ამ წესებით, პირველმა გავხსენი ეს ჩემპიონატი დილის 9 საათზე (თან ნახევრად მეძინა), პირველად ვთამაშობდი დილაუთენია...

— თქვენ, ისე გატყობთ, ნარდს ხელს ალარ მოკიდებთ...

— როგორ გეკადრებათ. გერმანიის ნარდის ფედერაციის პრეზიდენტს ალფრედ შვარცს ქართული სუვენირი ვუსახსოვრე და შეწუხდა კაცი — საპასუხოდ რითი გასიამოვნოვო. მეც მოკრძალებულად ვთხოვე... ნარდი გამოეგზავნა. ჰოდა, შევკრიბავ ჩემ მეგობრებს და ჯერ ნარდის კლასს ვუჩვენებ, შემდეგ კი ევროპული წესებით თამაშსაც ვასწავლი...

— განსხვავება დიდია ქართულ და ევროპულ წესებს შორის?

— არავინ თქვას ნარდის თამაში კარგად ვიცი. ეს არც გაგორებაზე, და არც „დუხზეა“. მე აქ დავინახე, რომ, თურმე, ნარდი შემოქმედებითი თამაში ყოფილა. ათასგვარი თეორიები, გათვლები, კომბინაციები, ამას ცხოვრებაში ვერ ვიფიქრებდი...

—ბატონო ბორის, ამ ბოლო დროს თქვენს გარეშე არცერთი დიდი სპორტული ღონისძიება არ ჩაივლის. რას უნდა მივაწეროთ ეს — თქვენს უნივერსალიზმს?

— არა, ფეხბურთს თავი უნდა დავანებო და ისეთ სპორტს მივხედო, დამჯდარი რომ ითამაშებდა კაცი — ნარდი, ჭადრაკი, შაში, დომინო, კარტი...

— ბილიარდზე რას გვეტყვით?

— თუ ახლოს სავარძელი იქნება, დიდი სიამოვნებით. კიდევ დავაკონკრეტებ — ისეთი სახეობები მირჩევნია, სირბილი რომ არ სჭირდება...

— მაშინ ფეხბურთში მეკარეს ამპლუაც ზედგამოჭრილია თქვენთვის?.. მით უმეტეს, ფეხბურთის გულშემატკივრებმა სულ რამდენიმე ხნის წინათ გიხილეს მხახიობთა ნაკრების კარში...

— ...ეს ზუსტად ის პერიოდი იყო, როცა სამსახურში კარები ამიჯედეს.

(არადა, იმედია, ბატონ ბორისს არ ეწყინება, მაგრამ სიყვარულით გავიმეორებ ხალხში გავრცელებულ აზრს — ძლივს მოუძებნეს მაგ კაცს შესაფერისი სამსახური — ცირკის დირექტორობა — გ. ტ). მეც დიდი სურვილი მქონდა, რომ ჩემი გუნდის კარები ამეჭედა და გოლი არ გამეშვა. მაგრამ აქაც (ისევე როგორც სამსახურში), შინაურმა „მომიღო“ ბოლო — ჩემმა ძმაკაცმა კახი კავსაძემ დაცვაში საბედისწერო შეცდომა დაუშვა და... ამის შემდეგ ფეხბურთს აღარ გავეკარები.

●

ჩემი და ბატონ ბორისის საუბარს ხშირად გვაწყვეტინებდა ერთ-ერთი უცხოელი მონაწილე, რომელიც ბოლოსდაბოლოს გავიცანი კიდეც. თანაც მითხრეს — შენი კოლეგა არისო და მიდი, გაესაუბრეო. თუმცა, მთლად კოლეგა არ აღმოჩნდა, მაგრამ მეტად საინტერესო პიროვნება გამოდგა და, ამასთან, მე და მას — ბერტ ლეფერტსს, ორი საერთო შეხების წერტილი აღმოგვაჩნდა: ფეხბურთი და ჰოლანდიის ნაკრები... მხოლოდ განსხვავებით ბერტისაგან, მე ასევე ჯოუტად ვგულშემატკივრობ ინგლისურ ფეხბურთსაც. თანაც, ბერტ ლეფერტსის ახლო მეგობარი აღმოჩნდა... ჩემი უსაყვარლესი ფეხბურთელი მარკო ვან ბასტენი.

— ე. ი. კოლეგა, ხომ?

—არა, ორც მთლად მასეა საქმე. მე განვაგებ კომპიუტერულ სისტემას, სადაც დაფიქსირებულია ყველანაირი ინფორმაცია აბსოლუტური სიზუსტით. მაქვს აგრეთვე უამრავი ვიდეო-კასეტა, რომელთაც დაინტერესებულ პირებს ვაძლევ, აი, ეს არის ჩემი შემოსავლის წყარო.

— ეს ინფორმაცია სპორტის ყველა სახეობას ეხება?

— არა, მხოლოდ ველოსპორტსა და ფეხბურთს.

— აბა, ნარდი?..

— ნარდი ჩემი ჰობია და, მგონი, თბილისში ურიგოდ არც მიასპარეზია...

— ბერტ, მოდით, ისევ ფეხბურთს დავუბრუნდეთ. თითქმის ყველა უძლიერესი ჰოლანდიელი ფეხბურთელი უცხოეთში გამოდის. რა არის ამის მიზეზი?

— მხოლოდ და მხოლოდ ფული. ამჟამად დაახლოებით 30-მდე ჰოლანდიელი ფეხბურთელი თამაშობს სხვა ქვეყნის კლუბებში და ეს რიცხვი, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს.

— მარკო ვან ბასტენი, ალბათ, ყველასთვის საყვარელი და პოპულარული ფეხბურთელი იქნება ჰოლანდიაში. მაგრამ იგი ხომ „მილანში“ თამაშობს და იქნებ თქვენ დაგვიახელოთ ჰოლანდიაში მოთამაშე ფეხბურთელებიდან ვის თვლით საუკეთესოდ.

— ასეთებად სამი ფეხბურთელი მომაჩნია — „აიაქსის“ წევრები: რობ ვიჩგე, ჯონ ვან“ ტ შიპი და ახალგაზრდა ბრაიან როი.

— კი მაგრამ, თქვენ არ დაასახელეთ „ეინდჰოვენის“ წევრი, ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ორი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი გერალდ ვანენბურგი?

— არა, მე ყოველთვის „აიაქსს“ ვგულშემატკივრობ...

— მწვრთნელებში, ჰოლანდიაში, ალბათ, რინუს მიხელსს ტოლი არ მოეპოვება...

— არავითარ შემთხვევაში. ჩემთვის უპირველეს მწვრთნელად იოჰან კრუიფი ითვლება. მიხელსს კი, უბრალოდ, ვარსკვლავებში უმართლებს. ასე იყო 1974 წელს, როცა კრუიფი ჰყავდა გუნდში, ხოლო 1988 წელს კი ვან ბასტენი. მიხელსი, რომ იტყვიან, ჰოლანდიის ფედერაციის კაცია. ის ხშირად მიდის მათთან კომპრომისზე და „არ იკბინება“. აი, კრუიფი კი ყველას პირში ეუბნება სიმართლეს და ბევრსაც არ მოსწონს.

—ბერტ, მეც და ჰოლანდიის ნაკრების ბევრ ქართველ გულშემატკივარს დახწყდა გული ამ შესანიშნავი ნაკრების მეტად უფერული გამოხვლით იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე.

— ჩემპიონატის წინ ჰოლანდიის ნაკრებში დიდი სირთულეები იყო, რაც გამოწვეული იყო მთავარი მწვრთნელის პრობლემასთან. ნაკრების წევრთა ერთ ნაწილს (8 კაცს) კრუიფი სურდა, ზოგს კი — პირიქით, ერჩივნათ სულ არ მიეღოთ მონაწილეობა ჩემპიონატში, ვიდრე კრუიფის ხელმძღვანელობით ეთამაშათ. თანაც, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციაც კრუიფის წინააღმდეგი იყო და აი, შედეგიც...

— ახლა რა სიტუაციაა ჩვენთან, ვის ორივეხთვის საყვარელ ჰოლანდიის ნაკრებში?

— თითქმის იგივე. ერთ-ერთი ინციდენტის შემდეგ მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა ფრანკ რიკაარდმა უარი განაცხადა ნაკრებში თამაშზე. ასევე რამოდენიმე თამაში გამოტოვა არანაკლები სიძლიერისა და კლასის ოსტატმა რონალდ კუმანმა, რომელმაც, ამასთან, პრესაში მეტად არაკორექტულად მოიხსენია ნაკრების ხელმძღვანელობა. თავისი შთაბეჭდილებები, თანაც, ერთობ მწვავე ფორმებში, გამოხატა ერთ-ერთ გაზეთში ჯონ ვან“ ტ შიპმა და, შესაძლოა, ეს მაღალი კლასის ფორვარდიც უარს იტყვის ნაკრებში თამაშზე, ისევე, როგორც ცნობილი ცენტრფორვარდი ჯონი ბოსმანი. ეს უკანასკნელი კვლავ განაწყენებულია, რომ იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანეს. მაგრამ, ვფიქრობ, ეს სირთულეები დაიძლევა და კვლავ გვეყოლება საჩემპიონო გუნდი, თანაც, ჩემი აზრით, 1994 წლისათვის ჰოლანდიის ნაკრების სათავეში მაინც იოჰან კრუიფი იქნება...

●

ბატონი ბორის წიფურიასა და ბერტ ლეფერტსის გარდა იმ შესანიშნავ საღამოს კიდევ ბევრთან ქქონდა საუბარი, სამწუხაროდ, ბოდიში უნდა მოვუხადო ჰოლანდიის ჩემპიონს ნარდში ჟან-ვან ინგენს; ამერიკის ნაკრების წევრს, დოქტორ ჯიმ ბაროფს, გერმანიის ნარდის ფედერაციის პრეზიდენტს სტეფან შვარცსა და მის ფინელ კოლეგას პეტრო პეიტილას, აგრეთვე მოკლე ნარდში გამარჯვებულს, ენაწყლიან და მუდამ ხუმრობის ხასიათზე მყოფ ფაიქ ჰუსეინოვს, რომელიც, სხვათა შორის, საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მონარდის ემზარ ლაითაძის პირადი მოწვევით იყო ჩამოსული თბილისში. დაახ, ბოდიშს ვუხდი მათ და მკითხველებსაც, რომლებმაც ახლოს ვერ გაიცნეს ეს საინტერესო პიროვნებები. ჯერ მარტო ფაიქ ჰუსეინოვი რად ღირდა, რომელმაც ცხოვრებაში პირველი ინტერვიუ სწორედ თბილისში მისცა ჟურნალისტებს და რომელიც წლევანდელი წლის ზაფხულამდე ქორწილებში დადიოდა დამკვრელად და, რომ იტყვიან, ამით ჰამდა პურს...

დაბოლოს, დასკვნის მაგივრად მოკლედ ვიტყვი — ნარდი ყველამ უნდა ვითამაშოთ...

ᲒᲘᲐ ᲗᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲖᲔᲛᲝᲗ — ფაიქ ჰუსეინოვი; ᲥᲕᲔᲛᲝᲗ — მერაბ კიკალეიშვილი, მიხეილ სურგულაძე და ალან შტეფენი.

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲕᲐᲓᲐᲞᲙᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲓᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ.

ᲕᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲜᲙᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲕᲡᲔᲑᲐᲓ

გთხოვთ, მიმართოთ კოოპერაციულ ფირმა „ᲖᲔᲕᲡ“, რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: 35-18-27 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, წერეთლის გამზ. № 74.

ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲐᲠᲒᲝ-ᲑᲚᲘᲪᲘ“.

Абхазская Советская
Общественно - политическая
молодежная газета
«Ахангыра Ныреджи»

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ — 93-97-31; ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ — 93-31-56; ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ — 99-09-49.

ᲑᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲛᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐᲗ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ 380009, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-9Გ, Შ. ᲙᲘᲠᲙᲘᲢᲐᲫᲘᲡ Ქ. № 14, ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ, ᲮᲘᲜᲙᲚᲘᲡ № 29 Тип. зак. 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲤᲔᲠᲐᲪ ᲑᲐᲚᲐᲠᲯᲘᲩᲘᲜᲘᲫᲔ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 380009 Შ. ᲙᲘᲠᲙᲘᲢᲐᲫᲘᲡ Ქ. № 14.